

## კახა გაბუნია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

# ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში

## 2. კავკასიური და არაკავკასიური ენები

### აბსტრაქტი

სტატიის მეორე ნაწილში წარმოდგენილია პროექტის - „სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“ ფარგლებში 2006-2008 წლებში განხორციელებული კვლევის კრებსითი შედეგები საქართველოში ენების განაწილებისა და მათი სხვა ენებთან მიმართების თვალსაზრისით (ენობრივი პოლიტიკის, განათლების და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინებით).

ეთნიკურთან ერთად, საქართველოს ლინგვისტური მრავალფეროვნებაც ახასიათებს. სტატიის პირველ ნაწილში განხილული იყო სახელმწიფო ენისა და მისი მიმართების საკითხი ქართულის მონათესავე სხვა ქართველურ ენებთან, აგრეთვე - პროექტის ფარგლებში გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგია და ის ძირითადი ცნებები და ტერმინები, რომელთა ზუსტი განსაზღვრის გარეშეც თავს ვერ ავარიდებდით ორაზროვნებას (გაბუნია, 2014). წინამდებარე სტატიაში განვიხილავთ იმ ენების მდგომარეობას, რომელთაც, ტრადიცი-

ულად, „უმცირესობათა ენებს“ (დავაზუსტებთ: „ენობრივ უმცირესობებს“ - იხ. ქვემოთ) უწოდებენ.

პროექტის - „სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“ ფარგლებში საქართველოს „ლინგვისტური პორტრეტის“ აღსაწერად ჩამოყალიბდა 6 სამუშაო ჯგუფი: I - ქართული სალიტერატურო ენის ჯგუფი;

II - ქართველური ენების ჯგუფი;

III - კავკასიური ენების ჯგუფი;

IV - არაკავკასიური ენები ჯგუფი;

V - ქართული ენის დიალექტების ჯგუფი;

## VI - მიგრაციებისა და დიგიტალური დამუშავების ჯგუფი.

წინა სტატიაში პირველი ორი ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ერთგვარი მიმოხილვა და შეჯამება წარმოვადგინეთ (გაბუნია, 2014); ქვემოთ შევხებით კავკასიური (ჯგუფის ხელმძღვანელი ტარიელ სიხარულიძე) და არაკავკასიური (ჯგუფის ხელმძღვანელი მერაბ ბაბუხაძია) ენების შემსწავლელი ჯგუფების მიერ მოპოვებული მასალის (იგულისხმება როგორც კითხვარების შევსების საშუალებით ამოღებული ნედლი მასალა, ასევე აუდიოჩანაწერების მონაცემები) ერთგვარი შეჯამება<sup>1</sup>.

პროექტის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა როგორც კომპაქტურად, ასევე დისპერსიულად განსახლებულ ენობრივ უმცირესობათა<sup>2</sup> ჯგუფები. ამ

<sup>1</sup> წინამდებარე სტატიაში გამოყენებულია პროექტის „სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“ ფარგლებში ხსენებული ჯგუფების მიერ შეგროვებული მასალა, რომელიც სრული სახით არ გამოქვეყნებულა; დამუშავებული მასალის ნაწილი განთავსებულია ვებგვერდზე: SSGG (<http://titus.fkidg1.uni-frankfurt.de/ssgg/ssgg.htm>). მასალის გამოუყენების უფლება გაცემულია ფოლკსვაგენის ფონდის პროექტის განმკარგველის - მაინის ფრანკფურტის უნივერსიტეტის მიერ (პროფესორები: იოსტ გპერტი, მანანა თანდაშვილი).

<sup>2</sup> ტერმინს „ენობრივი უმცირესობა“ (შდრ.: „უმცირესობათა ენები - Language Mynorities“

მხრივ საქართველოში უაღრესად მრავალფეროვანი სურათია... საგანგებოდ უნდა გამოვყოთ 4 რეგიონი, სადაც კომპაქტურად არიან განსახლებულნი უმცირესობათა წარმომადგენლები: აფხაზები (კავკასიური ენების ოჯახი), ოსები და სომხები (ინდოევროპულ ენათა ოჯახი), აზერბაიჯანელები (ალათაურ-თურქული ენების ოჯახი - იხ. ტაბატაძე, გაბუნია, ოძელი, 2008, გვ. 9).

1. აფხაზები საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში სახლობენ – მდ. ენგურიდან მდ. ფსოუმდე, შავი ზღვის გაყოლებაზე. 1989 წლის გამოკითხვის მიხედვით, მათი რიცხვი 100 000-მდე აღწევდა (მთლიანად საქართველოს ტერიტორიაზე, დისპერსიული განსახლების ადგილების ჩათვლით); დღეს მათი რიცხვი თითქმის განახევრებულია (საომარი მოქმედებებისა და მიგრაციული პროცესების შედეგად). ეთნიკურ აფხაზთა მცირე ნაწილი ცხოვრობს აგრეთვე აჭარაში (ტაბატაძე, გაბუნია, ოძელი, 2008, გვ. 10).

ვიყენებთ საკითხის სრული დეპოლიტიზაციის მიზნით: ფოლკსვაგენის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სოციოლინგვისტური სიტუაცია თანამედროვე საქართველოში“ მიზანი ენობრივი სიტუაციის აღწერა იყო ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა ფაქტორებისგან დამოუკიდებლად.

2. ოსები კომპაქტურად ცხოვრობენ შიდა ქართლში – ჩრდილოეთ ნაწილში, აგრეთვე რამდენიმე სოფელში სამხრეთ საქართველოსა და კახეთში. საკმაოდ დიდი ნაწილია დისპერსიულად განსახლებული აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. 1989 წლის აღწერის მიხედვით, მათი რაოდენობა 165 000-მდე აღწევდა. კონფლიქტების შედეგად, დღეს ოსურენოვანი მოსახლეობის რიცხვი უაღრესად შემცირებულია (ტაბატაძე, გაბუნია, ოძელი, 2008, გვ. 10).

3. სომხები ძირითადად სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლის რეგიონიდან წალკის რაიონში არიან კომპაქტურად განსახლებულნი. უმცირესობათა შორის რიცხოვნობის თვალსაზრისით, ისინი II ადგილზე არიან აზერბაიჯანლების შემდეგ.

4. აზერბაიჯანელები კომპაქტურად არიან განსახლებულნი ძირითადად ქვემო ქართლსა (საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი) და შიდა ქართლში<sup>3</sup> (დაწვრილებით იხ. ტაბატაძე, 2010).

აღსანიშნავია, რომ სომხურ-, ოსურ- და აზერბაიჯანულენოვანი ჯგუფების კომპაქტური განსახლებები ესაზღვრება მათ ეთნიკურ სამშობლოს. მაგალითად, ქვემო ქართლის რეგიონი, სადაც კომპაქტურად სახლობენ ეთნიკურად აზერბაიჯანელები, ესაზღვრება სახელმწიფო აზერბაიჯანს, ხოლო სამცხე-ჯავახეთი, სადაც კომპაქტურად სახლობენ ეთნიკურად სომხები – ესაზღვრება სახელმწიფო სომხეთს. ვფიქრობთ, ამ ორი ენის სოციო-ლინგვისტური სახის განსაზღვრა და ადეკვატური ენობრივი პოლიტიკის წარმოება (მათი რიცხოვნობისა და განსახლების თავისებურებათა გათვალისწინებით) სპეციფიკურ მიდგომას განაპირობებს (ტაბატაძე, გაბუნია, ოძელი, 2008, გვ. 11-12). კიდევ უფრო სპეციფიკურია ენობრივი სიტუაცია აფხაზეთში: ეს არის ეთნიკური ჯგუფი, რომელიც მხოლოდ საქართველოსია განსახლებული და მსოფლიოში არსად მოიძიება ამ ენობრივი ჯგუფის ეთნიკური სამშობლო საქართველოს გარდა...

<sup>3</sup> აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა რომელიც ცხოვრობს შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში, მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. თუნდაც ის ფაქტია მნიშვნელოვანი, რომ შიდა

ქართლისა და ქვემო ქართლის აზერბაიჯანელი ეთნიკური ჯგუფი ზოგად განათლებას იღებენ განსხვავებულ ენებზე (შიდა ქართლში – ქართულად, ქვემო ქართლში – აზერბაიჯანულად).

ზემოხსენებული 4 ჯგუფის გარდა, გამოიყოფა რამდენიმე კომპაქტურად დასახლებული ენობრივი ჯგუფი, რომელთაც უაღრესად სპეციფიკური ადგილი უკავიათ სოციოლინგვისტური თვალსაზრისით; კერძოდ, ცალკეა განსახილველი პანკისელი ქისტების, უდიებისა და ბაცბების საკითხი (იხ, ქვემოთ).

საქართველოში გვხვდება ისეთი ეთნიკური ჯგუფები, რომლებიც ამა თუ იმ რეგიონში კომპაქტურად არ სახლობენ - ე. წ. დისპერსიული განსახლებები, როგორებიცაა: რუსები, ბერძნები, ქურთები, იეზიდები, ებრაელები, ასირიელები, უკრაინელები და სხვა (გაბუნია, 2014, გვ. 67-69). აღსანიშნავია, რომ ეს ეთნიკური ჯგუფები არ არიან ჰომოგენურები. მაგალითად, ბერძნული დიასპორა შედგება ორი ჯგუფისგან, რომელთაგან ერთი საუბრობს თურქულად, ხოლო მეორე - ბერძნულად (სვანიძე, 2002; იხ. აგრეთვე ქვემოთ).

უაღრესად სპეციფიკურია უმრავ-  
ლესობის (ქართულენოვანი მოსახლე-  
ობის) საკითხი, რომელიც თავად  
წარმოადგენს ენობრივ უმცირესობას  
ეთნიკური უმცირესობების კომპაქტუ-

რად განსახლებულ რეგიონებში - ქვემო  
ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში  
(უმრავლესობა უმცირესობაში - იხ.  
(ტაბატაძე, გაბუნია, ოძელი, 2008, გვ. 14).  
მაგალითად, ეთნიკურად ქართველები  
წარმოადგენენ მოსახლეობის უმცი-  
რესობას საქართველოს ისეთ  
რეგიონებში, როგორცაა ქვემო ქართლი  
და ჯავახეთი. ენობრივმა პოლიტიკამ  
უნდა ასახოს და უპასუხოს ამ  
გამოწვევასაც: უნდა დაიცვას ეთნიკური  
უმცირესობები, ისევე, როგორც  
ეთნიკური უმრავლესობა, რომელიც  
წარმოადგენს უმცირესობას კონკ-  
რეტულ რეგიონებში.

1991 წელს, საბჭოთა კავშირის  
დაშლის შედეგად, საქართველომ  
მოიპოვა დამოუკიდებლობა. საბჭოთა  
კავშირის (ფორმალურად „ფედერაციის“,  
სინამდვილეში კი - ერთიანი უნიტა-  
რული ქვეყნის) მიერ წარმოებულმა  
ძალდატანებითი მიგრაციების პოლიტი-  
კამ, მისი დაშლის შემდეგ გამოიწვია  
არაერთი ეთნიკური პრობლემა  
ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში.  
საბჭოთა კავშირის დროს მოსახლეობას  
და ეთნიკურ ჯგუფებს შორის  
საკომუნიკაციო ენას წარმოადგენდა  
**რუსული ენა**. საბჭოური ენობრივი

პოლიტიკის შედეგად, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები – რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, აფხაზები, ოსები, ბერძნები, ქურთები და სხვები გახდნენ რუსული პოლიტიკური და ენობრივი საზოგადოების ნაწილი. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებამ აუცილებელი გახადა ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებით გატარებულიყო შესაბამისი ენობრივი პოლიტიკა, რადგან რადიკალურად შეცვლილმა პოლიტიკურმა რეალობამ შეცვალა ამ ჯგუფების სოციალური მდგომარეობაც. საქართველომ აირჩია ლიბერალური გზა და მის ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მოსახლეს მიაჩნია საქართველოს მოქალაქეობა, თუმცა, ეს „ნულოვანი“ პოლიტიკა არ აღმოჩნდა საკმარისი, რათა ქართულ სახელმწიფოს მოეპოვებინა ლოიალობა ეთნიკური უმცირესობების მხრიდან, რადგან ეთნიკურმა უმცირესობებმა მიიღეს საქართველოს მოქალაქეობა *ისე, რომ მათ არ უთხოვიათ ამ ქვეყნის მოქალაქეობა*. ამ კონტექსტიდან გამომდინარე, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების კლასიფიცირება შეიძლება მოხდეს როგორც „არანებაყოფლობითი

უმცირესობისა“ (ოგბი, 1991; იხ. აგრეთვე ტაბატაძე, 2015, გვ. 93-109).

ენობრივი პოლიტიკა ამა თუ იმ სახით ტარდება ნებისმიერი (მონოლინგვური თუ მულტილინგვური) სახელმწიფოს ტერიტორიაზე. მონოლინგვური სახელმწიფოს შემთხვევაში ძირითადი აქცენტი გადატანილია ლიტერატურული სტანდარტის შესწავლა-დამუშავებასა და მის დაცვაზე, მულტილინგვურ საზოგადოებაში / სახელმწიფოში უმნიშვნელოვანეს პრობლემად რჩება შემდეგი საკითხის გადაწყვეტა: სხვადასხვა ენასა და ხალხს შორის ურთიერთობების მოგვარება, რაც უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფოს მიერ წარმოებულ შესაბამის ენობრივ პოლიტიკას (ტაბატაძე, გაბუნია, ოძელი, 2008, გვ. 16)..

როგორც წესი, ენობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა ენათა ურთიერთობების თავისებური “იერარქიის” ჩამოყალიბება, რაც განაპირობებს რომელიმე ერთი (სახელმწიფო) ენის „დომინანტური“ ფუნქციონირებისათვის სათანადო პირობების შექმნას. ჩვეულებრივ, ეს გულისხმობს ენის **სახელმწიფო სტატუსს**, რომელშიც განირჩევა მისი

ოფიციალური (იურიდიული) და ფაქტობრივი მდგომარეობა. პირველი გულისხმობს ენის სტატუსის განსაზღვრას საკანონმდებლო აქტებში, ხოლო მეორე დამოკიდებულია ისეთ პარამეტრებზე, როგორცაა: მოლაპარაკეთა რაოდენობა, ფუნქციური გამოყენების დიაპაზონი, სოციალურ-დემოგრაფიული სიტუაცია, პრესტიჟის მომენტები, პოლიტიკური ტენდენციები და სხვა (ტაბატაძე, გაბუნია, ოძელი, 2008, გვ. 33-34).

იურიდიულ და ფაქტობრივ სტატუსებს შორის ამგვარი „აცდენა“ შეინიშნებოდა საბჭოთა საქართველოშიც, რასაც მოჰყვებოდა მეტად საინტერესო შედეგები: ქართული „სახელმწიფო ენა“ სავალდებულო იყო, პირველ ყოვლისა, თვით **სატიტულო ერის** წარმომადგენლებისათვის. არაქართულენოვანი მოსახლეობის ერთი ნაწილი ფლობდა მას ძირითადად ყოფით დონეზე, ხოლო განათლებას, ჩვეულებრივ, იღებდა რუსულ ენაზე, რაც შეეხება სომხურ-, აზერბაიჯანულ-, აფხაზურ- და ოსურენოვან მოსახლეობას: მათ ჰქონდათ საშუალება და უფლება - ესწავლათ დედაენაზე, ქართული ენაც სავალდებულო საგნად

ითვლებოდა... რუსული ენა ამ ტიპის სკოლებში ისწავლებოდა, როგორც უცხო ენა; თუმცა, უნდა ითქვას, რომ ხსენებული მოსახლეობის სოლიდური ნაწილი მინიჭებულ უფლებას არ / ვერ იყენებდა და უპირატესობას ანიჭებდა რუსული ენის (პრესტიჟული ენის სტატუსის მქონე) შესწავლას; იურიდიულად სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე ქართული ან საერთოდ იგნორირებული იყო, ანდა მის სწავლებას უადრესად ფორმალური ხასიათი ჰქონდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ამ რეგიონებში რუსულენოვანი სკოლები: მოსახლეობის სოლიდურ ნაწილს, განსაკუთრებით კი ე.წ. „ელიტას“, სწორედ რუსულენოვან სკოლებში შეჰყავდა ბავშვები. მონოლინგვურ რუსულენოვან სკოლებში კი არათუ ქართული, მათი მშობლიური ენების შენარჩუნებაც კი სერიოზულ პრობლემად რჩებოდა (ტაბატაძე, 2007, გვ. 36)...

შედეგად ჩამოყალიბდა სიტუაცია, როდესაც ეროვნული ენის მატარებლისათვის რუსული ენის ცოდნა გახდა სავალდებულო და არა პირუკუ.

ობიექტურობა მოითხოვს ვალიაროთ, რომ ასეთი დაცილება ოფიციალური და ფაქტობრივი სტატუსებისა არ არის საკუთრივ საბჭოური მოვლენა, იგი თავს იჩენს ბევრ სხვა ქვეყანაში (ტაბატაძე, გაბუნია, ოძელი, 2008, გვ. 14).

ნიშანდობლივია, რომ „უმცირესობათა“ ენების მატარებლები თეორიულად უნდა ყოფილიყვნენ მულტილინგვალეები (1. მშობლიური ენა; 2. სახელმწიფო ენა / ქართული; 3. რუსული), მაგრამ სინამდვილეში ბილინგვიზმის კომპონენტებად გვევლინებოდა მშობლიური ენა და რუსული, რომელზეც სწავლობდნენ სკოლაში.

რუსული ენა იყო კომუნიკაციის ძირითადი საშუალება ადგილობრივ უმაღლეს სასწავლებლებში; რუსული ასევე გახლდათ დოკუმენტირების ენაც. საქართველოში ამის შედეგად ჩამოყალიბდა სხვადასხვა სახის რუსულ-„ეროვნული“ ბილინგვიზმის ფორმები, მათ შორის - რუსულ-აფხაზური რუსულ-სომხური, რუსულ-აზერბაიჯანული, რუსულ-ბერძნული და სხვა (ტ. სიხარულიძე, 2008).

## კომპაქტურად განსახლებული ენობრივი უმცირესობები

### აფხაზური ენა

აფხაზური ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ჩრდილო-დასავლურ, ანუ აფხაზურ-ადილურ ჯგუფს ეკუთვნის. აფხაზურ ენაში ორი დიალექტი გამოიყოფა: ბზიფური და აბჟუური. ბზიფური გავრცელებულია სოხუმის ჩრდილო-დასავლეთით, აბჟუური კი - სამხრეთ-აღმოსავლეთით. აღნიშნულ დიალექტებს შორის სხვაობა, ძირითადად, შეინიშნება ფონეტიკაში: ბზიფურ დიალექტს უფრო რთული ფონეტიკური სისტემა აქვს, რაც რამდენიმე სპეციფიკური ბგერის არსებობაში გამოიხატება, რომლებიც არ გვხვდება აბჟუურ დიალექტში. გარდა ამისა, აფხაზურ დიალექტებს შორის გარკვეული სხვაობაა ლექსიკაშიც. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლექსიკური განსხვავება მთლიანობაში ხელს არ უშლის აბჟუურ და ბზიფურ დიალექტებზე მეტყველებს, ადვილად გაუგონ ერთმანეთს (ეთნოსები საქართველოში, 2008, 46).

აფხაზურ სალიტერატურო ენას საფუძვლად უდევს აბჟუური დიალექტი.

აფხაზურ ენასთან ძალიან ახლოს დგას ჩრდილოკავკასიელი აბაზების ენა. აფხაზური და აბაზური ენები, ფაქტობრივად, ერთ ენობრივ ერთეულს წარმოადგენენ. მხოლოდ ტერიტორიული დაცილებისა და სალიტერატურო ენის ორ სხვადასხვა საფუძველზე ჩამოყალიბების გამო არის მიღებული აფხაზური (სალიტერატურო) ენის გარჩევა აბაზური (სალიტერატურო) ენისაგან...

ჩრდილო კავკასიის ხალხთაგან იმავე ენობრივ ჯგუფში შედიან და აფხაზებს ენათესავებიან ადიღები (ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები) და უბიხები. ეს უკანასკნელნი 1864 წლამდე დღევანდელი ქ. სოჭის მიდამოებში ცხოვრობდნენ, ხოლო ამჟამად, ძირითადად, თურქეთში არიან განსახლებულნი. გარდა ამისა, აფხაზები მრავალი კულტურულ-საყოფაცხოვრებო თავისებურებით უახლოვდებიან ქართველებს, რომლებთან მრავალსაუკუნოვანმა ურთიერთობამ და თანაცხოვრებამ გავლენა იქონია მათ ენასა და ანთროპოლოგიურ ტიპზე (ეთნოსები საქართველოში, 2008, გვ. 47).

აფხაზთა საკუთარი სახელწოდებაა აფსუა. ქართველები მათ „აფხაზებს“

უწოდებენ და ქართული ენიდან გავრცელებული ეს ეთნიკური ტერმინი უფროა დამკვიდრებული მსოფლიოში.

თურქულ და ზოგიერთ ჩრდილო კავკასიელი ხალხის ენაში აფხაზების სახელწოდებაა „აბაზა“.

აფხაზური ენა სახელმწიფო ენის სტატუსით სარგებლობს აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე; სახელმწიფო ენის სტატუსის მქონე ენისათვის, ერთი შეხედვით, ნაკლები პრობლემები უნდა იკვეთებოდეს, თუმცა, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდგომ, სახელმწიფო ენის სტატუსმა უაღრესად ფორმალური სახე მიიღო და რეალურად, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით - ამავე სტატუსის მქონე რუსულმა სრულად აიღო ეს ფუნქცია თავის თავზე.

გარდა აფხაზეთის ტერიტორიისა, აფხაზური ენა წარმოდგენილია დასავლეთ აჭარაში; აჭარაში აფხაზები კომპაქტურად ცხოვრობენ ბათუმთან ახლოს მდებარე დასახლებებში: ადლია, ანგისა და ფერია. აფხაზები აჭარაში მოჰაჯირობის დროს, მე-19 საუკუნის ბოლოს აღმოჩნდნენ. აფხაზეთიდან განდევნილი მათი ნაწილი აჭარაში დატოვეს. აჭარაში დასახლებულმა



აფხაზებმა შეინარჩუნეს ადათ-წესები, გვარები და სახელები, თუმცა, სამწუხაროდ, აჭარელ აფხაზებს გაუჭირდათ ენის შენარჩუნება (სიხარულიძე, 2009): აჭარაში უფროსი თაობის წარმომადგენლებს ცუდად ახსოვთ მშობლიური ენა, ზოგი იბრალებს და რეალურად ვერ მეტყველებს. რაც შეეხება ახალ თაობას – მათი საკომუნიკაციო ენა არის ქართული, იშვიათად - რუსული. აღსანიშნავია, რომ, სამწუხაროდ, უფროს თაობას თითქმის დავიწყებული აქვს მშობლიური ენა და, აქედან გამომდინარე, ვერც ახალგაზრდებს ვერ ასწავლიან აფხაზურს.

როგორც უკვე ითქვა, საკუთრივ აფხაზეთის ტერიტორიაზე (თვით-გამოცხადებულ აფხაზეთის რესპუბლიკაში) დღეისათვის აფხაზური ენა დიდი პრობლემის წინაშე დგას: აფხაზეთში საკომუნიკაციო ენა არის რუსული და არა აფხაზური. ამჟამად ეთნიკური აფხაზები კარგად ვერ მეტყველებენ აფხაზურად და, ამასთანავე, ასეთი ხალხის რაოდენობა პროცენტულად არის მცირე მხოლოდ რუსულად (მონოლინგვალ) მოლაპარაკე მოსახლეობასთან შედარებით. ახალმა

თაობამ პრაქტიკულად არ იცის მშობლიური ენა, ან თუ იცის - ყოველდღიურ ცხოვრებაში მას უკვე აღარ იყენებს.

ცნობილ მოვლენებამდე (იგულისხმება ქართულ-აფხაზური კონფლიქტი) აფხაზეთში მკვეთრად იყო გამოხატული ტრილინგვიზმი (აფხაზური, ქართული / მეგრული და რუსული ენები). იქ, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდნენ სომხები, ბერძნები ან სხვა ერების წარმომადგენლები - გამოხატული იყო ბილინგვიზმი: იცოდნენ მშობლიური ენა და რუსული (იშვიათად - ქართული).

საკომუნიკაციო ენა იყო რუსული როგორც ქართველებისთვის, ასევე აფხაზებისთვის. მოსახლეობაში ფართოდ გავრცელებული იყო აგრეთვე მეგრული. მეგრულად საუბრობდნენ აფხაზებიც - ძირითადად ოჩამჩირისა და გალის რაიონის მკვიდრნი ან - ვისაც დედა ჰყავდა ქართველი.

ეს სურათი რადიკალურად შეიცვალა აფხაზეთის კონფლიქტის შემდეგ, როდესაც ქართული მოსახლეობა იძულებული გახდა, აფხაზეთი დაეტოვებინა.

შეიძლება ითქვას, რომ დღეს აფხაზეთში გავრცელებულია ბილინგვიზმი. და ეს ბილინგვიზმი მოიცავს აფხაზურ და რუსულ ენებს. ხშირ შემთხვევაში აფხაზური ენის ცოდნა შემოიფარგლება მხოლოდ *მეტყველებით*. აფხაზებს ძირითადად აქვთ მიღებული რუსულენოვანი განათლება, მშობლიურ ენაზე კი კითხვისა და წერის მხოლოდ ელემენტარულ უნარებს ფლობენ (იშვიათი გამონაკლისების გარდა).

აფხაზურ-რუსული ბილინგვიზმის ვითარება, რომელიც აფხაზეთში ქართველების განდევნის შემდეგ ჩამოყალიბდა (მანამდე აფხაზური საზოგადოებისთვის დამახასიათებელი იყო ტრილინგვიზმი) ამა თუ იმ მხარეს უმნიშვნელო გადახრით შეიძლება გაგრძელდეს საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მაგრამ ეს იმ შემთხვევაში ხდება, თუ ორივე ენას აქვს ერთნაირი ან თუნდაც მსგავსი განვითარების დონე და შესაძლებლობები. სხვა შემთხვევაში, ერთი ენის გამოყენების ველი მცირდება, ის გადადის ოდენ ყოფითი ურთიერთობის ენის კატეგორიაში და საბოლოოდ მივყავართ ენის გაქრობამდე...

აფხაზური ენა აშკარად დგას გადაშენების საფრთხის წინაშე. სრულფასოვანი აფხაზური სკოლების არარსებობა აფერხებს არა მარტო ცოდნის საფუძვლის ჩამოყალიბებას, არამედ ამ ცოდნის გამოყენების ინსტრუმენტის – *ენის* შესწავლას. აფხაზური ენის არასრულფასოვანი ინფორმატიულობა (მასმედია, მხატვრული ლიტერატურა, თეატრი, კინო...), სათანადო სახელმწიფო მხარდაჭერის არქონა, ხალხის თვითშეგნების და კულტურის, მათ შორის ენის კულტურის, უდრესად დაბალი დონე - ყველა ეს ფაქტორი განაპირობებს აფხაზური ენის დღევანდელ მდგომარეობას (სიხარულიძე, 2009).

### ოსური ენა

ოსური ენა განეკუთვნება ინდოევროპული ენების ჩრდილო ირანულ ჯგუფს. ოსები ლაპარაკობენ ორ დიალექტზე - ირონულსა და დიგორულზე. ლიტერატურული ენის საფუძველია ირონული დიალექტი.

ოსთა ჯგუფი, საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსთვის

მათი რიცხვი მთელი ქვეყნის მასშტაბით შეადგენდა 160 ათასს და რაოდენობრივად მხოლოდ სომხებსა და აზერბაიჯანელებს ჩამორჩებოდა. საქართველოში ოსების რაოდენობის შემცირებაზე გავლენა მოახდინა 1990-იანი წლების დამდეგს სამხრეთ ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე განვითარებულმა კონფლიქტმა (ტაბატაძე, გაბუნია, ოძელი, 2008, გვ. 10-11).

ორენოვნობის საკითხის განხილვის დროს გასათვალისწინებელია მეორე ენის ფლობის ხარისხი და დონე, მისი მიმართება მშობლიურ ენასთან. ამ მხრივ ყოფილ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ოსების სოციოლინგვისტური სიტუაცია რადიკალურად განსხვავდება იმ მდგომარეობისგან, რაც კონფლიქტამდე იყო რეგიონში.

1991 წლისათვის (ოფიციალური მონაცემებით) სამხრეთ ოსეთში 145 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა არსებობდა. მათგან 36 მონოლინგვური (ოსურენოვანი), 3 ქართულ-ოსური, 6 – ქართულ-რუსულ-ოსური.

ოსური სკოლები იხსნებოდა ოლქის გარეთაც. მაგალითად ხაშურის რაიონში არსებობდა 30 ოსური სკოლა. 1928-29 წლებში ოლქის ფარგლებს გარეთ ფუნქციონირებდა 27 ოსური სკოლა. ხოლო 30-იანი წლების დასაწყისში საქართველოს თითქმის ყველა რაიონში არსებობდა ოსურენოვანი სკოლები. 1939-40 წლებში ოს მოსწავლეთა რაოდენობა 34. 547 იყო. ოლქში 20 ათასამდე ოსი მოსწავლე იყო და 7 000 ქართველი მოსწავლე.

რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას - სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სკოლებში ოსური ისწავლება მხოლოდ როგორც საგანი და თუ ადრე დაწყებით კლასებში ოსური ენა სწავლების ენას წარმოადგენდა - ამჟამად მას ეს ფუნქცია დაკარგული აქვს... უკეთესი მდგომარეობა ამ მხრივ არც საქართველოს იურისდიქციის ქვეშ მყოფ რეგიონებშია: განათლების სისტემაში რეფორმების განხორციელების შედეგად მოხდა სკოლების ოპტიმიზაცია. რასაკვირველია, ეს შეეხო ოსურ სკოლებსაც. ოპტიმიზაციამდე ლაგოდეხის რაიონში არსებობდა რამდენიმე ოსური სკოლა: *არეშფერნის, ფონას, ხეჩილის, ბოლქვის, ფიჩხი-ბოგირის.*

აქედან არემფერნისა და ფონას სკოლები საშუალო (საჯარო) სკოლები იყო, ხოლო ბოლქვისა და ფიჩხიბოგირისა 9 წლიანი (არასრული), ხეჩილისა – დაწყებითი. ოპტიმიზაციის შედეგად დარჩა ორი სკოლა *არემფერნისა* და *ფონასი* (ხეჩილში სკოლა გაუქმდა მოსწავლეთა არარსებობის გამო), ხოლო ფიჩხიბოგირისა და ბოლქვის სკოლის ოპტიმიზაცია მოხდა არემფერნის საჯარო სკოლასთან. სამწუხაროდ, სახელწოდება - „ოსურენოვანი“ მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომამ სკოლებში მშობლიურ ენას შეისწავლიან, როგორც ცალკე საგანს... სწავლების ენა ქართულია დაწყებით კლასებშიც...

დღესდღეობთ, ისევე, როგორც აფხაზური ენის შემთხვევაში, თვით-გამოცხადებულ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ბილინგვიზმთან გვაქვს საქმე (ოსურ-რუსული ბილინგვიზმი).

გასაგები მიზეზების გამო, პროექტის ფარგლებში ძირითადად გამოიკითხა და კვლევა ჩატარდა საქართველოს იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიაზე მცხოვრებ ჯგუფებში (შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, კახეთი). გამოკითხულ ოსთა ნაწილს მიაჩნია, რომ მათი მშობლიური ენა ოსურია, რადგანაც

ეროვნებით ოსები არიან. ნაწილი მიიჩნევს, რომ მშობლიური ენა ქართულია, რადგანაც ამ ენაზე აიდგეს ენა, ამ ენაზე მიიღეს განათლება. ნაწილს კი მიაჩნია, რომ მათი მშობლიური ენაა ოსურიც და ქართულიც.

გამოკითხულ ოსთა ნაწილი ვერ კითხულობს ოსურად, არ აქვთ ოსური წიგნები სახლში და ისინიც, ვინც კითხულობენ - დიდი გაჭირვებით. მოსახლეობა ტელევიზიით უყურებს ქართულ არხებს. აგრეთვე უყურებენ ოსურ გადაცემებსაც ცხინვალის ტელევიზიით, მაგრამ, მათივე თქმით, გაცილებით თავისუფლად გრძნობენ თავს, როცა ქართულ გადაცემებს უყურებენ.

საზოგადოდ, საქართველოს იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიაზე მოსახლე ოსების მდგომარეობა შეიძლება დახასიათდეს, როგორც მყარი ბილინგვიზმი (ოსურ-ქართული): მათი პატუა, საოჯახო მოხმარების ენად ხშირ შემთხვევაში არის ოსური, ისიც ქართულთან ერთად, ასე ვთქვათ შერეული კოდით სარგებლობენ ან უბრალოდ – სუბკოდით. კოდიფიცირებული მწიგნობრულ – სალიტ-

ერატურო ენა მათთვის ქართულია. ამ ენაზე ურთიერთობდნენ ისინი აგრეთვე სახელმწიფო სტრუქტურებთან თუ ადმინისტრაციასთან.

### აზერბაიჯანური ენა

აზერბაიჯანულ ენას შედის ალთაურ-თურქულ ენათა ოჯახის სამხრეთ-დასავლურ ჯგუფს მიეკუთვნება და წარმოადგენს ოფიციალურ ენას აზერბაიჯანის სახელმწიფოში. გარდა ამისა, აზერბაიჯანული ენა არის ყველაზე მნიშვნელოვანი თურქული ენა ირანის ისლამური რესპუბლიკაში.

აზერბაიჯანელები ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. კომპაქტურად არიან დასახლებული აგრეთვე საქართველოში (ქვემო და შიდა ქართლში, კახეთში), დაღესტანში, ირანში.

სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში აზერბაიჯანელები დაახლოებით 7%-ს შეადგენენ, მათი საერთო რაოდენობის 19,2% ქალაქად ცხოვრობს, დანარჩენი - სოფლად.

საქართველოში აზერბაიჯანული მოსახლეობის რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა XX საუკუნის მეორე

ნახევარში, როდესაც მატების ტემპით გაუსწრო საქართველოში მცხოვრებ ყველა დანარჩენ ეთნიკურ ჯგუფს. აზერბაიჯანელების რაოდენობა ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში, 30 წლის განმავლობაში, თითქმის გაორმაგდა - ამჟამად ისინი ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენენ. აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა დღეისათვის ქვემო ქართლის მთელი მოსახლეობის 45%-ს შეადგენს (ეთნოსები საქართველოში, 2008, გვ. 111). ქვემო ქართლის გარდა, აზერბაიჯანელების კომპაქტური დასახლებებია: თელავის, ლაგოდეხისა და საგარეჯოს რაიონებში (კახეთი), მცხეთისა და კასპის რაიონებში (შიდა ქართლი).

ქვემო ქართლის მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის სახელმწიფო ენა. განათლების სისტემაში წლების განმავლობაში არსებული ხარვეზების გამო ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ აზერბაიჯანულად საუბრობს და სხვა ეთნოსების წარმომადგენლებთან ურთიერთობისათვის უკვე რუსულ ენასაც ვეღარ იყენებს (რუსული, რომელიც საბჭოთა პერიოდში სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან კომუნიკაციის ერთადერთი ენა იყო, საქართველოს მიერ

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თანდათან კარგავს საკომუნიკაციო ენის ფუნქციას). თუკი წლების წინ აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა ბილინგვალი (უაღრესად იშვიათად - ტრილინგვალი) იყო, დღესდღეობით მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მონოლინგვალია - აღარც რუსული იცის, ქართულის სწავლების თვალსაზრისითაც გარკვეული სისტემური პრობლემებია და მხოლოდ აზერბაიჯანულ ენას ფლობს (მონოლინგვალია), რაც უამრავ პრობლემას უქმნის მათ ინტეგრაციისა და კომუნიკაციის თვალსაზრისით...

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ქართული ენის შესწავლის საკითხი ინტეგრაციის პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო, თუმცა სახელწიფოს მხრიდან საამისოდ გადადგმული ნაბიჯები უშედეგო და არაეფექტიანი აღმოჩნდა. ქართული ენის შესწავლის თვალსაზრისით, განათლების სისტემაში ამ ბოლო დროს განხორციელებული რეფორმები გრძელვადიანია და მხოლოდ წლების შემდეგ გამოიღებს დადებით შედეგს. 2010 წლამდე, ქართული ენის არცოდნის გამო, ის აზერბაიჯანელები, რომლებსაც უმაღლესი განათლების მიღება სურდათ, ძირითადად,

აზერბაიჯანში მიდიოდნენ სასწავლებლად. ე.წ. „სამედავათო პოლიტიკის“ შემოღების წყალობით, მათ მიეცათ შესაძლებლობა, ჩაებარებინათ უმაღლეს სასწავლებლებში, რაც ენობრივი ინტეგრაციის რეალურ საფუძველს წარმოადგენს. ბოლო 4 წლის განმავლობაში ამ მხრივ სურათი მკვეთრად შეიცვალა.

სახელმწიფო ენის არცოდნის გამო მოსახლეობისათვის მიუწვდომელია ქართულენოვანი საინფორმაციო საშუალებები. საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელზე მხოლოდ კვირაში ერთხელ გადის აზერბაიჯანულენოვანი საინფორმაციო გამოშვება, რის გამოც ქვემო ქართლის აზერბაიჯანელები უფრო უცხოურ (ძირითადად აზერბაიჯანულ, თურქულ, რუსულ) მედიასაშუალებებზე არიან ორიენტირებულნი. ფაქტია, რომ საქართველოში სუსტად არის განვითარებული აზერბაიჯანულენოვანი მედია. ქვემო ქართლში არსებულ ტელევიზიათა გადაცემები მცირე არეალზე ვრცელდება და თანაც შეფერხებებით. სუსტად არის განვითარებული აზერბაიჯანულენოვანი ბეჭდვითი მედიაც. თბილისში 1921 წლიდან გამოდის გაზეთი «გიურ-

ჯისტანი», რომლის ოპერატიულობის ხარისხი დაბალია. აღნიშნული ფაქტორების გამო, ხშირ შემთხვევაში, ქვემო ქართლის მოსახლეობა უკეთესად არის ინფორმირებული აზერბაიჯანში მიმდინარე პროცესების შესახებ, ვიდრე საქართველოში არსებული ვითარების თაობაზე.

აზერბაიჯანელთა თვითმყოფადობისა და კულტურის შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში მოქმედი აზერბაიჯანულენოვანი სკოლები (120-მდე სკოლა); გახსნილია აზერბაიჯანული კულტურის სახლი, ფოლკლორული ანსამბლები, ფუნქციონირებს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აზერბაიჯანელთა კულტურული ცხოვრების განვითარებაზე ზრუნავენ. თბილისში მოქმედებს აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი და თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანული თეატრი.

აზერბაიჯანელთა მშობლიური ენა აზერბაიჯანულია. მოსახლეობა ოჯახში აზერბაიჯანულ ენაზე საუბრობს. ბავშვი მშობლიურ, აზერბაიჯანულ ენაზე იწყებს საუბარს. ბოლო წლებში წამოვიდა ტენდენცია, აზერბაიჯანულენოვანი ბავშვები შეიყვანონ ქართულენოვან

სკოლებში. თავისთავად, ეს მისასალმებელია და ინტეგრაციის თვალსაზრისით აშკარად დადებითი მოვლენაა, თუმცა, წარმოშობს მთელ რიგ პრობლემებს, რომელთა გადასაჭრელადაც ჯერ განათლების სისტემა ზად არ არის: გაცილებით ეფექტურია, ბავშვები შეიყვანონ ქართულენოვან საბავშვო ბაღებში, სადაც სპეციალურად ანგვარი სამიზნე ჯგუფისთვის მომზადებული პედაგოგები და აღმზრდელები მომზადდებიან (ამ მიმართულებით უკვე იდგმება პირველი ნაბიჯები). იმ ბავშვებმა, რომლებიც ქართულ საბავშვო ბაღში შედიან, სკოლაში შესვლისას უკვე იციან ქართული, ხოლო მათ, ვინც ქართულ საბავშვო ბაღში არ დადიან, ან საერთოდ არ იციან სახელმწიფო ენა, ან ქართულად მხოლოდ ცალკეული სიტყვები იციან, რაც შეუძლებელს ხდის ქართულენოვანი სკოლების პროგრამის დაძლევას.

### სომხური ენა

სომხური ენა მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახს, ის არის ამ ენათა ოჯახის ერთ-ერთი დამოუკიდებელი განშტოება.

სომხები წარმოადგენენ სომხეთის რესპუბლიკის ძირითად მოსახლეობას. კომპაქტურად ცხოვრობენ თვითაღიარებულ ყარაბახის რესპუბლიკაში, აგრეთვე - მსოფლიოს სამოცზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის, საქართველოში.

2002 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად, სომხურენოვანი მოსახლეობა საქართველოს მთლიანი მოსახლეობის (4,661,500) დაახლოებით 5,7 %-ს, ანუ 248,900 ადამიანს შეადგენდა. ისინი სხვადასხვა ოდენობით ცხოვრობენ ქვეყნის ქალაქებსა და რეგიონებში, განსაკუთრებით მრავლად არიან თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკებში (ტაბატაძე, გორგაძე, 2014, გვ. 281-300).

ჯავახეთის მოსახლეობის უმრავლესობამ არ იცის ქართული ენა. რუსულმა კი, რომელიც საბჭოთა პერიოდში სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან კომუნიკაციის ერთადერთი ენა იყო, გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში მნიშვნელოვნად დაკარგა საკომუნიკაციო ენის ფუნქცია. საბჭოთა მემკვიდრეობისა და განათლების სისტემაში წლების განმავლობაში არსებული არასწორი ენობრივი

საგანმანათლებლო პოლიტიკის გამო, ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ სომხურად ან რუსულად საუბრობს. გარკვეული ფაქტორების გამო (ახალციხესა და ახალქალაქში 2005 წლამდე რუსული სამხედრო ბაზები იყო განთავსებული; გარდა ამისა, მოსახლეობის დიდი ნაწილი დროებით სამუშაოდ რეგულარულად მიდი-მიდის რუსეთში...), აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობისგან განსხვავებით, რუსულმა ენამ აქ ფუნქციები შეინარჩუნა. შესაბამისად, შენარჩუნდა სომხურ-რუსული ბილინგვიზმიც... უკანასკნელ წლებში შესაჩნევია ქართულ-რუსულ-სომხური ტრილინგვიზმის განვითარებაც, თუმცა, ეს პროცესი მხოლოდ საწყის ეტაპზეა (კაჭკაჭიშვილი, 2013, #2, გვ. 86-89).

ჯავახეთის სომხური მოსახლეობისაგან განსხვავებით, თბილისში მცხოვრებმა სომხებმა მეტნაკლებად იციან სახელმწიფო ენა, რაც განპირობებულია იმით, რომ თბილისში სომხებს ყოველდღიურ, ყოფით თუ პროფესიულ დონეზე, ურთიერთობა უწევთ ქართულენოვან მოსახლეობასთან. ისინი, როგორც წესი, რუსულ ენასაც ფლობენ და ტრილინგვალეები არიან.



სომხური მოსახლეობის მიერ ქართული ენის არასათანადო ცოდნა ემიგრაციის გამომწვევი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. სომხები რუსეთში სამსახურის შოვნის პერსპექტივას ხედავენ, რაც მათ საქართველოში დარჩენილი ოჯახებისთვის, ფინანსური დახმარების საშუალებასაც აძლევს. ნაწილი ისტორიულ სამშობლოში საქმდება, თუმცა, სომხეთს არანაკლები პრობლემები აქვს ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით და ასეთების რიცხვი (რუსეთში სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობასთან შეფარდებით) საკმაოდ მცირეა (კაჭკაჭიშვილი, 2013, #2, გვ. 96-97).

სამცხე-ჯავახეთში სომხური მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიღების ძირითადი წყარო სომხური და რუსული ტელეარხებია. რეგიონში ფუნქციონირებს რამდენიმე რეგიონული ტელეკომპანია და სომხეთის, რუსეთისა და საქართველოს რამდენიმე ტელეარხის ტრანსლირებაც ხდება; თუმცა, გამოკითხულთა უმრავლესობა არ უყურებს ქართულ ტელეარხებს, ვერ კითხულობს ქართულენოვან პრესას და, რაც მთავარია, უკმაყოფილებას გამოთქვამს სახელმწიფო ენის არა-

სათანადოდ სწავლებასთან დაკავშირებით... რეგიონში გარკვეული პერიოდულობით გამოდის ადგილობრივი გაზეთები. თბილისში, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, გამოდის გაზეთი „ვრასტან“, რომლის ოპერატიულობის ხარისხი დაბალია (ეთნოსები საქართველოში, 2008, გვ. 110).

საქართველოში მცხოვრები სომხებისათვის ეთნიკური და ენობრივი თვითმყოფადობის შენარჩუნების კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებს სომხურენოვანი სკოლები, თუმცა, კვლავ მოუწესრიგებელია სახელმწიფო ენის სწავლების პროცესი, რაც ამ რეგიონის მოსახლეობას ხელს უშლის ინტეგრაციის პროცესში.

### **კომპაქტური განსახლების მქონე მცირე ენობრივი ჯგუფები**

გარდა ზემოთ დასახელებული მსხვილი ენობრივი უმცირესობებისა, საქართველოში კომპაქტურად დასახლებული რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა, რომელთა სპეციფიკური მდგომარეობაც ცალკე განხილვის თემაა. ესენია: უდიური, ქისტური და ბაცბური (სამივე იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის წარმომადგენელი ენაა).

### უდიური ენა

უდიური გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი უნიკალური ენაა, რომელსაც მიიჩნევენ ალბანური ენის მემკვიდრედ. სწორედ ამით არის ეს ენა უნიკალური და საინტერესო.

უდიური ენა განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა დაღესტნური ჯგუფის ლეზგიურ ქვეჯგუფს, აქვს ორი დიალექტი: ვართაშნული და ნიჯური.

უდიურ დამწერლობას (ანუ ალბანურს) სამეცნიერო ლიტერატურაში მიაკუთვნებენ წაუკითხავ წარწერებს, რომელიც აღმოჩენილია საქართველოში, აზერბაიჯანში, დაღესტანში. ამჟამად უდიური უმწერლობო ენაა. XX საუკუნის 20-იან წლებში უდიურისთვის შემოღებულ იქნა ლათინური ანბანი. 1934 წელს გამოქვეყნდა თევდორე ჯეირანაშვილის მიერ შედგენილი საანბანო-საკითხავი სახელმძღვანელო, რომლითაც უდიური ენა 1945 წლამდე ისწავლებოდა.

საქართველოში უდიები გადმოსახლდნენ 1920-1922 წლებში სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის გამო, რომელიც გასცილდა ეროვნული შუღლის ფარგლებს და გადაიზარდა

რელიგიურ შეუმწყნარებლობაში. ამან აიძულა ეს ხალხი, დაეტოვებინა სამშობლო (ძველი კავკასიის ალბანეთი - ამჟამად აზერბაიჯანი) და გადმოსახლებულიყო ყვარლის რაიონში. პირველად უდიები დასახლდნენ ყვარლიდან დაახლოებით 7 კმ დაშორებით, მთის ძირას, ნესტიან ადგილას, რომელსაც ეწოდებოდა ჩანტლისყურე (ამჟამადაც სოფელი ჩანტლისყურე). ხოლო შემდეგ თავისი ლიდერის ზინობი სილიკის (სილიკაშვილი) ძალისხმევით გადაინაცვლეს დაახლოებით ერთი კილომეტრით აღმოსავლეთის მიმართულებით, სადაც ააშენეს სოფელი ზინობიანი (ამჟამად ოქტომბერი - იხ. ეთნოსები საქართველოში, 2008, გვ. 184-185).

სავარაუდოა, რომ უდიები ისტორიულად იყვნენ ბილინგვალეები. დიდი ზეგავლენა უდიურზე მოახდინა აზერბაიჯანულმა ენამ. აზერბაიჯანში მცხოვრები უდიები თავისუფლად ფლობენ აზერბაიჯანულ ენასა და მშობლიურ ენას. საქართველოში მცხოვრები უდიებიც ბილინგვები არიან და ძალიან კარგად ფლობენ ქართულს: საკომუნიკაციო საშუალებად უდიები ძირითადად ქართულს იყენებენ.

საგანგებოდ ამენებულ სალოცავ სახლში (ეკლესია ჯერ არ აქვთ) ძირითადად ლოცულობენ ქართულ ენაზე.

ზოგადად კი უდიური ენის ფლობის დონე განისაზღვრება ასაკით. უფროსი თაობა კარგად ფლობს ორივე ენას. საშუალო ასაკის უდიებმა გაცილებით უკეთ იციან ქართული, ხოლო სკოლის ასაკისა და მცირეწლოვანმა ბავშვებმა, სამწუხაროდ, თითქმის (იშვიათი გამონაკლისის გარდა) უდიური აღარ იციან.

### ჩეჩნური ენა

(პანკისელი ქისტების სამეტყველო კოდი

- ქისტური დიალექტი)

ქისტები ძირითადად საქართველოში, ახმეტის რაიონში, პანკისის ხეობის სოფლებში სახლობენ. პანკისის ხეობა კახეთის რეგიონში შედის და მდებარეობს მის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარზე, ახმეტის რაიონში. ამ ხეობას ქმნის მდ. ალაზანი. მოსახლეობის რაოდენობა 6 ათასამდეა.

ქისტების მცირე ნაწილი ცხოვრობს ჩეჩნეთში (ეთნოსები საქართველოში, 2008, გვ. 161-162).

ქისტური ნარევი დიალექტს წარმოადგენს ჩეჩნური დიალექტებისა და

კილოკავებისა: მაისტურისა, ახიურისა, ხილდიხაროულისა, მითხოურისა და ჰაჩაროულისა. შესაბამისად, იგი განეკუთვნება იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ვაინახურ ქვეჯგუფს.

ქისტურთან ერთად, ყველა ქისტმა იცის ქართული ენა. ისინი ბილინგვალეები არიან. ქისტების უმრავლესობა მშობლიურ ენად მიიჩნევს ქისტურს. ოჯახში დაახლოებით თანაბრად გამოიყენება როგორც ქისტური, ისე ქართული. სუფრაზე სადღეგრძელოები ითქმის ქართულად და, საერთოდ, თამადობის ინსტიტუტიც ტრადიციულად ქართულია.

ქისტებმა ჩეჩნური (საუბარია სალიტერატურო ენაზე) არ იციან, თუმცა ჩეჩნებთან კომუნიკაციას ახერხებენ და ამ დროს საუბარში ცდილობენ, შეზღუდონ ქისტურში ქართულიდან ნასესხები ლექსიკის გამოყენება, რომ ჩეჩენისთვის უფრო გასაგები იყოს მათი დიალექტი. შესაბამისად, გაგებინების პრობლემა მათ არ აქვთ... ქისტებს ერთმანეთთან მიმოწერა აქვთ ქართულ ენაზე, ვინაიდან განათლება ქართულ ენაზე აქვთ მიღებული (ანუ, კითხვისა და წერის უნარები ქართულ ენაზე აქვთ განვითარებული და ქისტურის

სამეტყველო უნარები შემოიფარგლება მხოლოდ ზეპირმეტყველებით).

### **წოვა-თუშური (ბაცბური) ენა**

წოვა-თუშები, იგივე ბაცბები - საკუთარ თავს ეთნიკურად ქართველებად მიიჩნევენ, თუმცა, მათი სამეტყველო ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ვაინახურ ენათა ქვეჯგუფს განეკუთვნება.

წოვა-თუშების მთელი ენობრივი კოლექტივი ბილინგვალაია, ორივე სამეტყველო ენას (ქართული, ბაცბური) საფუძვლიანად ფლობს. მაგარამ აქ ისმის ერთი კითხვა: როგორია თანაფარდობა ცოდნის მხრივ ამ ორი ენისა, ერთი მხრივ, წოვათუშურისა, ხოლო მეორე მხრივ, ქართულისა. ე.ი. წოვა-თუშები ორივე ენას თანაბრად ფლობენ, თუ ერთ-ერთ მათგანს დომინირებული როლი აკისრია.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო და მცირე ასაკის წოვათა მეტყველების პროცესში ისინი სრულიად ბუნებრივად, თავისუფლად, ძალდაუტანებლად გადაერთვებიან ერთი ენობრივი სისტემიდან მეორე ენობრივი სისტემაზე იმის მიხედვით, თუ აზრის

შესაბამის სიტყვიერ სამოსელს რომელ ენაში უფრო ადვილად მიაგნებენ. ამ დროს საინტერესოა მოლაპარაკის ფსიქოლოგიური განწყობაც. ისინი ერთი ენიდან მეორე ენაზე გადასვლისას არ გრძნობენ უცხო ენობრივ გარემოს. ხშირად წინადადების ნახევარი ქართული სიტყვებისაგან შედგება, ნაწილი კი - ბაცბური სიტყვებისაგან. მათ ცნობიერებაში ეს ორი სხვადასხვა ენობრივი სისტემის ფრაგმენტები ისეა შედუღებული, შეკრული ერთ სინტაქსურ ერთეულში, რომ ასოცირდება, როგორც ერთი ენობრივი მასალა (სიხარულიძე, 2009).

როგორც ჩანს, წოვათუშური ენობრივი კოლექტივისათვის დამახასიათებელია ცალმხრივი, იდეალური, ანუ ადეკვატური ორენოვნება, რაც ძალზედ საინტერესო მასალას იძლევა ინტერფერენციისა და კონვერგენციის ზოგადი საკითხების კვლევისათვის.

### **დისპერსიული განსახლების ჯგუფები**

#### **რუსული ენა**

რუსული ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახის აღმოსავლეთ სლავური ქვეჯგუფის წარმომადგენელია. რუსული

დამწერლობა კირილიცაზე დაფუძნებულ ანბანურ სისტემაზეა აგებული.

რუსები რუსეთის ფედერაციის ძირითად მოსახლეობას წარმოადგენენ. ისევე როგორც უკრაინელები და ბელორუსები წარმოიშვნენ ძველი რუსი (როსი) ხალხისაგან (IX- XIII სს.), რომელიც ჩამოყალიბდა აღმ. სლავი ტომების საფუძველზე, კიევის გარშემო ძველი რუსული სახელმწიფოს შექმნის პროცესში (კიევის რუსეთი).

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის სტატისტიკური მონაცემებით, ისინი ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 1,5%-ს შეადგენდნენ, თუმცა დღეს მათი რაოდენობა კიდევ უფრო შემცირებულია: ისინი, უმთავრესად, ისტორიულ სამშობლოში დაბრუნდნენ.

საბჭოთა პერიოდში რუსული ენა ეთნიკურ ჯგუფებს შორის კომუნიკაციის ძირითადი ენა იყო. რუსული ენის პრიორიტეტულობის პირობებში კი რუსული მოსახლეობისათვის ქართული ენის სწავლის აუცილებლობა არ არსებობდა. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რუსულმა ენამ დაკარგა დომინანტური პოზიცია. ამის

მიუხედავად, რუსული ენა ეთნიკურ ჯგუფებს შორის საკომუნიკაციო ენად ჯერ კიდევ რჩება, მაგრამ მისი როლი სულ უფრო სუსტდება, რაც აქ დარჩენილ რუს ახალგაზრდობას ემიგრაციისათვის დამატებით სტიმულს აძლევს.

1991 წლის შემდეგ საქართველოში დაბადებული რუსი ბავშვები რუსულ სკოლებში შედიოდნენ, რადგან მშობლები ნაკლებად ენდობოდნენ ადგილობრივი საგანმანათლებლო სისტემის ხარისხს და იმედოვნებდნენ, რომ ასე უფრო ადვილად იმოგინდნენ სამსახურს რუსეთში. რუსულ სკოლაში შეყვანის კიდევ ერთი მიზეზი მოზარდებში ქართული ენის სუსტი ცოდნა იყო. 2003-04 სასწავლო წლებში საქართველოში ფუნქციონირებდა 168 რუსული სკოლა, მათგან ერთენოვან სკოლებს შორი 55 რუსული სკოლა იყო, დანარჩენი კი - ორენოვანი და სამენოვანი (რუსულთან ერთად ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზეც მიმდინარეობდა სწავლება). თუმცა, რუსულენოვანი სკოლების რაოდენობა რუსულენოვანი მოსახლეობის შემცირების პირობებში სულ უფრო კლებულობს. აღსანიშნავია, რომ

საქართველოში რუსულენოვანი სკოლების მოსწავლეების მნიშვნელოვან ნაწილს არა რუსები, არამედ სხვა ეთნიკურ ჯგუფთა წევრები წარმოადგენდნენ.

ენობრივი მდგომარეობის თვალსაზრისით რუსები ერთენოვნების პირობებში ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ, რადგან ყოფილ საბჭოეთის სივრცეში არ განიცდიდნენ სხვა ენის (ამ შემთხვევაში ქართულის) შესწავლის აიცლებლობას, მითუმეტეს, როგორც თავად აღნიშნავენ - ქართველები ყოველთვის თვითონვე ცდილობდნენ მათთან რუსულ საუბარს. მონოლინგვიზმი საქართველოში მცხოვრები რუსების ძირითადი ფორმასამეტყველო ფუნქციისა.

### უკრაინული ენა

უკრაინელები ლაპარაკობენ უკრაინულ ენაზე, რომელიც აღმოსავლური სლავური ენების ჯგუფს განეკუთვნება.

უკრაინელები უკრაინის ძირითად მოსახლეობას წარმოადგენენ. მათი გარკვეული ნაწილი ცხოვრობს რუსეთში, აშშ-ში, ევროპის ქვეყნებში და სხვ.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში 7 039 უკრაინელი

ცხოვრობს. მათი ნახევარი ქ. თბილისში სახლობს, მრავლად არიან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც (ეთნოსები საქართველოში, 2008, გვ. 209).

საქართველოში უკრაინული ენის სწავლასა და შენარჩუნებაზე სახელმწიფო ზრუნვა მხოლოდ გასული საუკუნის ბოლოდან დაიწყო: 1999 წლის 1 სექტემბრიდან თბილისში მოქმედებს მიხეილ გრუმევესკის სახელობის პირველი უკრაინული სკოლა. სკოლის მოსწავლეების დიდი ნაწილი ქართულ-უკრაინული შერეული ოჯახებიდან არიან. მოსწავლეები უკრაინულ ენაზე განათლებას დაწყებით კლასებში იღებენ, მაღალ კლასებში კი სწავლობენ უკრაინულ ლიტერატურასა და ენას. ახალგაზრდა თაობამ, უფროსი თაობისაგან განსხვავებით, უკეთესად იცის ქართული ენა. თუმცა, ისინი განათლებას, ამჟამად, ძირითადად რუსულ ან ქართულენოვან სკოლებში, უმაღლეს განათლებას კი საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ან უკრაინაში იღებენ. უკრაინული მხარე ყოველწლიურად (თავისი ხარჯებით) უკრაინის უმაღლეს სასწავლებლებში 10 სტუდენტის სწავლებას უზრუნველყოფს.

საქართველოში უკრაინელთა თვით-მყოფადობის შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს 1992 წლის 15 ივლისს დაარსებული საქართველოში მცხოვრებ უკრაინელთა ასოციაცია. 1994 წლიდან დღემდე ასოციაციას ხელმძღვანელობს მიხეილ ბორისი. 1995 წლიდან უკრაინელებით კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიებზე იქმნება და ფუნქციონირებს უკრაინული საზოგადოებები.

### პოლონური ენა

პოლონური ინდოევროპულ ენათა ოჯახის აღმოსავლეთ სლავური ენების ჯგუფს განეკუთვნება. სამწუხაროდ, მათმა დიდმა ნაწილს აღარ ახსოვს პოლონური, რადგან საქართველოში არ იყო პოლონური სკოლები და ამიტომ ახალგაზრდა თაობა განათლებას პოლონურად ვერ იღებდა. ისინი, ძირითადად, რუსულ სკოლებში სწავლობდნენ.

პოლონელები საერთო მოსახლეობის ერთ პროცენტსაც კი არ შეადგენენ და მათი რაოდენობა არ აჭარბებს 2000 კაცს. მათი უმეტესობა ასიმილერებულია. ისინი არიან როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში (გურია-აჭარა). ძირითადად კი თბილისში

ბინადრობენ და აქვთ პოლონური დიასპორა ჩამოყალიბებული, სადაც პოლონურ ენასა და კულტურას ასწავლიან მომავალ თაობას.

პოლონელები იკრიბებიან კათოლიკურ ეკლესიაში და ესწრებიან მესებს. ეს მათი თავყრილობის ერთ-ერთი საყვარელი ადგილია.

### ბერძნული ენა

ბერძნული ენა ბერძნებისა და კვიპროსელების მშობლიური ენაა და მიეკუთვნება ინდოევროპულ ენათა ოჯახის ბერძნულ ჯგუფს. ბერძნული ენა დოკუმენტური არსებობის 3.500 წელს ითვლის. ძირითადად გავრცელებულია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, მიმდებარე კუნძულებსა და ასევე ნაწილობრივ ბულგარეთში, ალბანეთსა და თურქეთში.

საქართველოში მცხოვრები თანამედროვე ბერძნები, უმთავრესად, ე. წ. პონტოს ბერძნები (პონტოს დიალექტი) არიან, რომლებიც თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონებიდან გადმოსახლდნენ. მათი პირველი დასახლებები საქართველოში XVIII საუკუნეში გაჩნდა. ბერძნული ენის პონტურ კილოკავზე საქართველოში შემდეგ სოფლებში მეტყველებდნენ: სანტაში, ნეოხარაბაში, გუმბათში, ტარსონში (წალკის რ-ნი), საკირეში, გორაში (დმანისის რ-ნი),

ივანოვკაში, დიდსა და პატარა ირაგაში, ჯიგრაშენში, ვიზიროვკაში, ალექსეევკის ნაწილში (თეთრიწყაროს რ-ნი), ოფრეთში (მარნეულის რ-ნი), მიქელწმინდაში (ახალციხის რ-ნი), ციხისჯვარში (ბორჯომის რ-ნი). ამავე კილოკავზე ლაპარაკობდნენ აფხაზეთსა და აჭარაში მოსახლე ბერძნები (ეთნოსები საქართველოში, 2008, გვ. 130-131).

წალკის რაიონის ბერძნების ძირითად მასას ურუმები (თურქულენოვანი ბერძნები) წარმოადგენდნენ; მათ ბერძნული არ იციან, თუმცა ეს სულაც არ უშლის მათ ხელს, საკუთარი თავის იდენტიფიცირება ბერძენ ეთნოსთან მოახდინონ: ერთი ეროვნული ჯგუფი თვისობრივად ორ სახესხვაობას ქმნის: ეთნიკური სურათი არ ემთხვევა ენობრივ სურათს.

მათ ეკუთვნოდათ სოფლები: ხადიკი, გუნიაკალა, ტაქქილისა, ედიქილისა, წინწყარო, ჯინისი, ავრანლო, ხანდო, ბემთაშენი, ბაიბურთი, ბაშკოვი, ლივადი, კარაკომი, ოლინკაი. ურუმები ცხოვრობდნენ, აგრეთვე, დმანისის რაიონის სოფლებში: სარკინეთში, განახლებაში, ველისპირსა და თეთრიწყაროს რაიონის სოფელ წინწყაროში.

ტერმინი «ურუმი» გაჩნდა აღმოსავლეთი რომის იმპერიის დაცემისა

და თურქეთის მიერ ბიზანტიის ყოფილი პროვინციების დაპყრობის შემდეგ. იგი წარმოქმნილია ლათინური ძირიდან «რომა», რაც რომაელს, ანუ აღმოსავლეთ რომის იმპერიის ქვეშევრდომს ნიშნავს. ეს ტერმინი გულისხმობდა თურქების მიერ დაპყრობილი პროვინციების მოსახლეობას, მისი ეთნიკური წარმომავლობის გაუთვალისწინებლად.

საქართველოში მცხოვრები ბერძნების, ქართველების, სომხებისა და აზერბაიჯანელების კომუნიკაციის ძირითადი ენები რუსული და თურქულია. წალკის რაიონის ბერძნებმა არ იციან ქართული ენა, რადგან სკოლებში, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული, დაბალი იყო ქართული ენის სწავლების ხარისხი და მოტივაცია. რაიონებისაგან განსხვავებით, თბილისში და საქართველოს სხვა რაიონებში მცხოვრებმა ბერძნებმა მეტნაკლებად იციან ქართული ენა, თუმცა მათ ძირითად სასაუბრო ენად კვლავ რუსული რჩება. სახელმწიფო ენის არცოდნის გამო რაიონებში მცხოვრები ბერძნები, ფაქტობრივად, საინფორმაციო იზოლაციაში აღმოჩნდნენ, რაც ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათ სრულფასოვან მონაწილეობას აფერხებს. გარდა ამისა, ახალგაზრდა



თაობა რეგიონში შექმნილ სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ვითარებას არაპერსპექტიულად მიიჩნევს და ამიტომაც ნაკლებ ენთუზიაზმს იჩენს ქართული ენის შესწავლის მიმართ.

### ქართული ენა

ქართული ენა მიეკუთვნება ინდო-ევროპული ენების ოჯახის ირანული ენების ჩრდილოდასავლურ ჯგუფს.

ქურთები (თვითწოდება - ქურდი, კურმანჯი), წინა აზიის ერთ-ერთი უძველესი ხალხია. ცხოვრობენ ირანში, თურქეთში, სიარიაში, ერაყში (ამ ტერიტორიას ქურთები ქურთისტანად მოიხსენიებენ), ლიბანში, ავღანეთსა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, ყაზახეთი, თურქმენეთი). ქურთების ეთნოგენეზში მონაწილეობდნენ ძველი მიდიელი და ირანული ტომები.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მიხედვით, საქართველოში 20 843 ქურთი ცხოვრობს (მათ შორის თბილისში - 19.2), რაც ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 0.4%-ს შეადგენს. ქურთების ძირითადი ნაწილი თბილისში, ასევე რუსთავში, ბათუმსა და თელავშია წარმოდგენილი.

ქურთები კომპაქტურად არიან დასახლებულნი თბილისის შემოგარენში,

კერძოდ, გლდანის მასივში, ვარკეთილში, მესამე მასივში და ზემოთ აღნიშნულ ქალაქებში. ძირითადი დასახლება მაინც თბილისის შემოგარენია (ეთნოსები საქართველოში, 2008, გვ. 141).

ქურთები საქართველოში უძველეს მოსახლეობას წარმოადგენენ. იეზიდი და ქურთი ტომობრივად ერთია, მათ შორის მხოლოდ კონფესიური განსხვავებაა. საქართველოში ქურთების ინტენსიური დასახლება მე-19 საუკუნის დასაწყისში დაიწყო. ძირითადად ისინი დასახლდნენ სამხრეთ საქართველოს რეგიონში, თბილისში, რუსთავსა და ბათუმში, აგრეთვე კახეთში, თელავთან ახლოს მიმდებარე სოფლებში.

თბილისელი ქურთები თავიანთი წარმომავლობის შესახებ ამბობენ, რომ არიან იეზიდები და თავს მკვეთრად მიჯნავენ (და ზოგჯერ მაღლაც კი აყენებენ) ქურთებისაგან.

ენებიდან ქურთებმა იციან ქურთული, ქართული, სომხური, რუსული და სკოლაში ნასწავლი რომელიმე ევროპული (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ენა.

ქურთებმა წინათ რუსული უკეთ იცოდნენ, რადგან ძირითადად რუსულ განათლებას იღებდნენ. ადრე რუსული საყოველთაოდ იხმარებოდა, გარკვეული უპირატესობით სარგებლობდა არა-

ქართველ მოსახლებას (და არა მარტო არაქართველ მოსახლეობას შორის) შორის. ახლა თბილისის ქურთი მოსახლეობა უკვე ქართულ სკოლებში შედის.

ქართულ განათლებამიღებული ქურთები ოჯახში საუბრობენ ქართულად და ქურთულად, ხოლო ისინი, ვისაც რუსული განათლება აქვს მიღებული, რუსულად და ქურთულად. უფროსი თაობის წარმომადგენელი ქურთები ოჯახში ძირითადად ქურთულად საუბრობენ.

### აისორული ენა

ასურული ენა - იგივე აისორული ენა, საერთო სახელწოდებაა თანამედროვე აღმოსავლეთ არამეული (სემიტურ ენათა ოჯახი) დიალექტებისა, რომლებზედაც ლაპარაკობენ ასურელები.

აისორები მთელი საქართველოს მოსახლეობის 0.1%-ს შეადგენენ. მათი რიცხვი სამიათას ორასს აღემატება. არიან დასავლეთ საქართველოშიც: იმერეთი, გურია და აჭარა. ძირითადი ნაწილი კი თბილისში. სირიელები ან ასირიელები ძირითადად კონცენტრირებულები არიან სოფელ ქანდაში, კასპის რაიონში. მას ძველ ქანდას უწოდებენ (იქვე ორ კილომეტრში ქართველებით დასახ-

ლებული სოფელი ქანდაა). რუსეთ-ირანის ომის დროს 1874-75 წლებში წამოსულან აისორები ირანიდან (ურმიიდან, სოფელი ნაზიდან), როგორც თავად აღნიშნავენ, ირანელების ზეწოლის გამო (ეთნოსები საქართველოში, 2008, გვ. 140-142)...

საოჯახო მოხმარების ენად დღემდე რჩება ასურული, მაგრამ უფრო ქართული პრევალირებს. ტელევიზიის, რადიოსა და პრესის ენა ქართულია. მათ ასირიულ საინფორმაციო წყაროებზე ხელი არ მიუწვდებათ და, ამდენად, ქართული ენა მძლავრობს. თუმცა კლასიკური ორენოვნების პირობებში ცხოვრობენ. ტრადიციები ძალიან ახლოს დგას ქართულთან. იქნება ეს ქორწილის, გასვენებისა თუ სხვადასხვა რიტუალი.

\*\*\*

საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ რამდენიმე ათეული ენობრივი ჯგუფია დისპერსიულად განსახლებული, რომელთა მიმოხილვაც, შეზღუდული ფორმატის გამო, მიზანშეუწონლად მივიჩნით.

## გამოყენებული ლიტერატურა

- ბაბუხაძე, 2009 - მერაბ ბაბუხაძე, არაკავკასიური ენების შემსწავლელი ჯგუფის ანგარიში: „სოციოლინგვისტური სიტუაცია საქართველოში“; მასალები; თბილისი, 2009.
- გაბუნია, 2014 - ვ. გაბუნია, ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში: 1. ქართველური ენები; ონლაინ ჟურნალი: „საერთაშორისო ჟურნალი მულტი-ლინგვური განათლებისათვის; # 3; თბილისი, 2014.
- გაბუნია, ეზუგბაია, ქირია, 2008 - ვ. გაბუნია, ლ. ეზუგბაია, ჭ. ქირია, ენობრივი სიტუაცია თანამედროვე საქართველოში; თბილისი, 2008.
- ეთნოსები საქართველოში, 2008 - ეთნოსები საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა; თბილისი, 2008.
- კაჭკაჭიშვილი, 2013 - მკა კაჭკაჭიშვილი, ბილინგვური განათლებისა და სოციალურ-კომუნიკაციური სისტემის ურთიერთმიმართებისათვის ჯავახეთში; ონლაინ ჟურნალი: „საერთაშორისო ჟურნალი მულტი-ლინგვური განათლებისათვის; # 2; თბილისი, 2013.
- სვანიძე, 2002 - Svanidze, G. National minorities in Georgia, review. Retrieved on March 25, 2002, from the website: [www.minelres.lv.archive.htm](http://www.minelres.lv.archive.htm) <<http://www.minelres.lv.archive.htm>>
- სიხარულიძე, 2009 - ტ. სიხარულიძე, მთის იბერიულ-კავკასიური ენების შემსწავლელი ჯგუფის ანგარიში: „სოციოლინგვისტური სიტუაცია საქართველოში“; მასალები; თბილისი, 2009.
- ტაბატაძე, 2007 - შ. ტაბატაძე, ენობრივი პოლიტიკა და საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა. 2007 წლის სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა “საიმედო”, გვ. 3-53.
- ტაბატაძე, 2010 - Tabatadze, S. (2010). New initiatives of education policy in the context of civil integration. Tbilisi: Caucasus Institute for Peace, Democracy and Development.
- ტაბატაძე, 2015 - Tabatadze, S. (2015). Factors Influencing the Effectiveness of Bilingual Educational Programs: The Prospects of Pilot Programs in Georgia. Sino-US English Teaching, 12 (2), 93-109.
- ტაბატაძე, გორგაძე, 2014 - Tabatadze, S., & Gorgadze, N. (2014). Intercultural sensitivity of primary school teachers of Georgia. International Journal of Education and Research, 6, 281-300.
- ტაბატაძე, გაბუნია, ოძელი, 2008 - შ. ტაბატაძე, ვ. გაბუნია, მ. ოძელი, რეკომენდაციები ენობრივი უმცირე-სობათა დაცვის მიმართულებით ენობრივი პოლიტიკის შემუშავებისთვის, გამომცემლობა “საიმედო”, 2008.
- უიტლი, 2007 - Wheatly, J. ECMI Report Obstacles Impeding the Regional Integration of the Javakheti Region of Georgia. Retrieved on April 5, 2007 from [http://www.ecmi.de/download/working\\_paper\\_22.pdf](http://www.ecmi.de/download/working_paper_22.pdf).